საქმის №2/4009-10

თბილისის საქალაქო სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

20 მაისი, 2010 წელი თბილისი

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - სოსო ღურწკაია

განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

მოსარჩელე – სათინო შანყულაშვილი;

წარმომადგენელი – მალხაზ ალბორაშვილი;

მოპასუხე – შპს „ცენტრ პოინტ სიტი“;

დავის საგანი – თანხის გადახდის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება;

განმცხადებლის მოთხოვნა - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

სასამართლომ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა სათინო შანყულაშვილის წარმომადგენელმა მალხაზ ალბორაშვილმა მოპასუხე შპს „ცენტრ პოინტ სიტის“ მიმართ თანხის გადახდის დაკისრების და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სარჩელთან ერთად მოსარჩელემ წარმოადგინა განცხადება და ითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, ყადაღის დადება მოპასუხე შპს „ცენტრ პოინტ სიტის“ საკუთრებაში არსებულ ცხრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ხოშარაულის ქუჩა №29, მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 6328 კვმ. ეძრიადი ქონების საკადასტრო კოდი №01.13.05.004.059.

ქსელი
086

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია შემდეგი ფაქტები და გარემოებები:

საჯარო რეესტრის მიერ გაცემული 2010 წლის 01 მარტის ამონაწერით დასტურდება, რომ უძრავ ქონებაზე მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ხოშარაულის ჭუჩა №29, მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 6328 კვ.მ., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.13.05.004.059, რეგისტრირებულია შპს „ცენტრ პოინტ სიტის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 202210044) საკუთრების უფლება;

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადებაში მითითებულია, რომ

- შპს „ცენტრ პოინტ სიტის“ ერთ წელზე მეტია გადაცილებული აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადა და დღემდე არც მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხა 47 750 აშშ დოლარის ოდენობით არ დაუბრუნებია. ს. შანყულაშვილი ვერ სარგებლობს მისი საკუთრებით, ხოლო მოპასუხე საერთოდ არ რეაგირებს ვალდებულების დარღვევაზე.
- მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს საკუთრებაში აქვს 6328 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. №29-ში. მოპასუხეს შეუძლია ვალდებულებით დატვირთოს, ან სულაც გაასხვისოს აღნიშნული უძრავი ქონება, რაც შემდგომში არათუ გააძნელებს, არამედ შეუძლებელსაც კი გახდის მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.
- მოსარჩელე სარჩელით ითხოვს, მოპასუხეს დაეკისროს 47 750 აშშ დოლარის, ასევე 2010 წლის 01 მაისიდან ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე გადასახდელი თანხის 47 750 აშშ დოლარის 1,5 %-ს გადახდას ზიანის ანაზღაურების სახით დავალიანების სრულად დაფარვამდე.

სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა სათანო შანყულაშვილის განცხადება, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგი საფუძვლით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გაძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე, დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გაძნელებს ან შეუძლებელს

გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გაძლევს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

ეს ნორმა მოითხოვს, რომ მოსარჩელემ მარტოოდენ მიუთითოს ასეთ გარემოებაზე (გარემოებებზე). განმცხადებელს არ ევალება მათი მტკიცება. ამ მითითების საფუძველზე სასამართლო უნდა მივიდეს სამართლებრივ დასკვნამდე, რომ უზრუნველსაყოფი გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება მართლაც გაძნელდეს ან შეუძლებელი გახდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების გარეშე. ამასთან, მოსარჩელემ სასამართლოს უნდა შესთავაზოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც იქნება ადეკვატური იმ საფრთხისა, რომელიც შეიძლება დაემუქროს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე.

სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინოს სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია დავალიანების გადახდის დაკისრება. ასეთი სარჩელი მიკუთვნებითი, აღსრულებითი სარჩელია, რაც იმას გულისხმობს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის (მიზანი) დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე (როგორც ეს აღიარებითი სარჩელების შემთხვევაშია), არამედ ასევე მოპასუხის ნებაზე. მან უნდა განახორციელოს გარკვეული მოქმედება თანხის გადახდის თაობაზე. ასეთი ნების არარსებობის პირობებში გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დამოკიდებული ხდება ისეთ მექანიზმზე, როგორიცაა იძულებითი აღსრულება. ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს საშუალება, საიდანაც (იძულებითი რეალიზაცია) გადაწყვეტილების აღსრულება და კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება იქნება შესაძლებელი. სწორედ ამ საშუალების არსებობისა და შენარჩუნებისათვის გარანტიებს ქმნის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებით იზღუდება მოპასუხის ნება, გაასხვისოს ანდა სხვაგვარად დატვირთოს საკუთრება.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მიუთითა, რომ დასაყადაღებელი ქონების მესაკუთრემ, მოპასუხემ შეიძლება მის საკუთრებაში არსებული ქონება გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს, რათა თავი აარიდოს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას და გახადოს მისი აღსრულება შეუძლებელი. სასამართლო თვლის, რომ ასეთ ვითარებაში მოსარჩელე სათანო შანყულაშვილის მოთხოვნა დავალიანების გადახდის დაკისრების შესახებ დარჩება დაუკმაყოფილებელი, აღუსრულებელი. ამ თვალსაზრისით სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ დააკმაყოფილა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადებას, რომელშიც მოთხოვნა ეხება უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას,

უნდა ერთვოდეს ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება. მოსარჩელემ ასეთი ცნობა წარმოადგინა.

სარჩელის უზრუნველყოფის შემთხვევაში კანონი იცავს მოპასუხის ინტერესებსაც, კერძოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხეს არ უნდა მიადგეს ზიანი და თუ მიადგება, სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში უნდა ანაზღაურდეს.

ამასთან, სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძება თავისი სამართლებრივი თვალსაზრისით მოპასუხის უფლებისა თუ ინტერესის შეზღუდვას გულისხმობს, თუმცა იგი არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც მოპასუხის უფლებების უმართლოდ შემზღუდველი ღონისძება. სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძება, რომლითაც შესაძლოა ერთი მხარის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, მეორისა კი–პირიქით. სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ზომა უნდა იყოს ადეკვატური დავის საგანზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე სარჩელით ითხოვს მოპასუხეს დაეკისროს 47 750 აშშ დოლარის, ასევე 2010 წლის 01 მაისიდან ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე გადასახდელი თანხის 47 750 აშშ დოლარის 1,5 % გადახდა ზიანის ანაზღაურების სახით დაკალიანების სრულად დაფარვამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყადაღა დაედოს მოპასუხე შპს „ცენტრ პოინტ სიტის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 202210044) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 1/40 ნაწილს მდებარე მისამართზე, ქ. თბილისი, ხოშარაულის ქუჩა №29, მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 6328 კვმ., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.13.05.004.059;

სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთმითითებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძებით სრულად იქნება განცხადებლის მიერ აღსაძრავი სარჩელი დაცული ალუსრულებლობისაგან, რის გამოც განცხადებით მოთხოვნილ მოპასუხის კუთვნილ მთელ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებაზე მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 193-ე, 194-ე, 198-ე, 199-ე, 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მოსარჩელე სათინო შანყულაშვილის წარმომადგენლის მალხაზ ალბორაშვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. სათნო შანყულაშვილის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედოს მოპასუხე შპს „ცენტრ ჰოინტ სიტის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 202210044) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – თბილისში, ხოშარაულის ჭუჩა №29-ში მდებარე 6328 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.13.05.004.059) 1/40 ნაწილს;

3. განემარტოს მოსარჩელეს, რომ თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ ღონისძიებათა შედეგად;

4. განჩინება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

5. განჩინებაზე მოპასუხეს შეუძლია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეიტანოს საჩივარი, განჩინების გადაცემის მომენტიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში. ვადის ათვლა იწყება განჩინების ჩაბარების მეორე დღიდან. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ანდა არასამუშაო დღეს, ვადის ბოლო დღედ ჩაითვლება მომდევნო პირველი სამუშაო დღე;

მოსამართლე ს. ღურწკაია

საქმე №2/38-14

1121048796072

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების შესახებ

25 აპრილი, 2014 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი

მოსარჩელე - ნესტან გელოვანიძე
მოსარჩელის წარმომადგენელი - მაკა კეშელავა
მოპასუხე - შპს ,,ცენტრ პოინტ სიტი"
მოპასუხის წარმომადგენელი - ლევან წულაია

დავის საგანი - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა

მოთხოვნა: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება.

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მხარეთა განცხადება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2014 წლის 06 იანვარს სასარჩელო განცხადებით მომართა ნესტან გელოვანიძის წარმომადგენელმა მაკა კეშელავამ მოპასუხე შპს "ცენტრ პოინტი სიტის" მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, კერძოდ, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვალს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ნესტან გელოვანიძის სარჩელი დაკმაყოფილდა და დაევალა მოპასუხე შპს ,,ცენტრ პოინტ სიტი"-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ.თბილისი, ხოშარაულის ქ. №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, (სარეგისტრაციო ზონა - თბილისი, კოდი - 1, სექტორი - დიდუბე, კოდი - 13, კვარტალი №5, ნაკვეთის №4/59, ფართობი 6328

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული სააგენტო
ასლი
086

კვ.მ. სარეგისტრაციო №1/13/5/4/59), კორპუსი II, სადარბაზო III, სართული XI, ბინა №57, ფართი 64.43 კვ.მ. ნივთობრივად და უფლებრივად თავისუფალ მდგომარეობაში, მოსარჩელე ნესტან გელოვანიძისათვის საკუთრებაში გადაცემა.

მხარეთა თხოვნით, სასამართლო შემოიფარგლა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის შესაბამისად, რომლის დროსაც გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში, თანახმად, ამავე კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტისა. აღნიშნული მხარეებმა დაადასტურეს ხელმოწერით (ს.ფ.148). ამდენად, მითითებული გადაწყვეტილება 2014 წლის 21 თებერვალს შევიდა კანონიერ ძალაში.

2014 წლის 15 აპრილს მოსარჩელე ნესტან გელოვანიძის წარმომადგენელმა მაკა კეშელავამ და მოპასუხე შპს „ცენტრ პოინტ სიტის" წარმომადგენელმა ლევან წულაიამ ერთობლივი განცხადებით მომართეს სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების მოთხოვნით. განცხადებაში მიუთითეს, რომ კანონიერ ძალაში შესული 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება წარადგინეს საჯარო რეესტრში და მოითხოვეს უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე. საჯარო რეესტრის 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით №882014114433-03 სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, ვინაიდან მოთხოვნილ იქნა დამატებითი დოკუმენტის წარდგენა შპს „ცენტრ პოინტ სიტის" და ნესტან გელოვანიძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა ქონების გადაცემის შესახებ ანუ მიღება-ჩაბარების აქტი. მხარეთა განმარტებით მოთხოვნილი დოკუმენტის წარდგენა შეუძლებელია, ვინიდან, მოპასუხე მხარის უძრავ ქონებას ადევს ყადაღა და ეკრძალება ნებაყოფლობით უძრავი ქონების გასხვისება, გადაცემა.

მხარეები, ერთობლივი განცხადებით ითხოვენ, 2014 წლის 21 თებერვლის სასამართლო გადწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებას, კერძოდ, გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შემდეგნაირად ფორმულებას: მოსარჩელე ნესტან გელოვანიძეს გადაეცეს საკუთრების უფლებით მოპასუხე შპს „ცენტრ პოინტ სიტის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქ.თბილისი, ხოშარაულის ქ.№29-ში არსებულ მიწის ნაკვეთი, (სარეგისტრაციო ზონა - თბილისი, კოდი - 1, სექტორი - დიდუბე, კოდი - 13, კვარტალი 5, ნაკვეთის 4/59, ფართობი 6328 კვ.მ. სარეგისტრაციო №1/13/5/4/59) და ამავე მისამართზე, მდებარე: კორპუსი II, სადარბაზო III, სართული XI, ბინა №57, ფართი 64.43 კვ.მ. ნივთობრივად და უფლებრივად თავისუფალ მდგომარეობაში და აღიარებული იქნეს აღნიშნულ ფართზე ნესტან გელოვანიძის საკუთრების უფლება.

სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით გააანალიზა დადგენილი გარემოებები და მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებლების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნებათ შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს არ მიაჩნია მიზანშეწონილად განსახილველ საკითხზე დანიშნოს ზეპირი მოსმენა.

ციტირებული ნორმის თანახმად, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძვლად მიიჩნევს სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას, ხოლო განმარტების მიზნად კი მისი აღსრულების უზრუნველყოფას. ამდენად, იმისათვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინამძღვრები, განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2014 წლის 06 იანვარს სასარჩელო განცხადებით მომართა ნესტან გელოვანიძის წარმომადგენელმა მაკა კეშელავამ მოპასუხე შპს "ცენტრ პოინტი სიტის" მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, კერძოდ, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით. კერძოდ, დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა მოპასუხე შპს ,,ცენტრ პოინტ სიტი"-ს დაევალოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, დაევალოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და თავისუფალ მდგომარეობაში (მდებარე ქ.თბილისი, ხოშარაულის ქ. №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, (სარეგისტრაციო ზონა - თბილისი, კოდი - 1, სექტორი - დიდუბე, კოდი - 13, კვარტალი №5, ნაკვეთის №4/59, ფართობი 6328 კვ.მ. სარეგისტრაციო №1/13/5/4/59), კორპუსი II, სადარბაზო III, სართული XI, ბინა №57, ფართი 64.43 კვ.მ), მოსარჩელე ნესტან გელოვანიძისათვის საკუთრებაში გადაცემა.

რაც აისახა სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. ამდენად, გადაწყვეტილებაში მითითებული დავალება, გულისხმობს, რომ მოსარჩელე ნესტან გელოვანიძეს გადაეცეს საკუთრების უფლებით, ნივთობრივად და უფლებრივად თავისუფალ მდგომარეობაში, მოპასუხე შპს ,,ცენტრ პოინტ სიტის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც მხარეთა ერთობლივი მოთხოვნა გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

086

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მოსარჩელე ნესტან გელოვანიძის წარმომადგენლის მაკა კეშელავას და მოპასუხე შპს „ცენტრ პოინტ სიტის" წარმომადგენლის ლევან წულაიას განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი განიმარტოს იმგვარად, რომ მასში მითითებული უძრავი ნივთის გადაცემის დავალება, გულისხმობს: მოსარჩელე ნესტან გელოვანიძეს გადაეცეს საკუთრების უფლებით მოპასუხე შპს „ცენტრ პოინტ სიტის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქ.თბილისი, ხოშარაულის ქ.№29-ში არსებულ მიწის ნაკვეთი, (სარეგისტრაციო ზონა - თბილისი, კოდი - 1, სექტორი - დიდუბე, კოდი - 13, კვარტალი 5, ნაკვეთის 4/59, ფართობი 6328 კვ.მ. სარეგისტრაციო №1/13/5/4/59) და ამავე მისამართზე, მდებარე: კორპუსი II, სადარბაზო III, სართული XI, ბინა №57, ფართი 64.43 კვ.მ, ნივთობრივად და უფლებრივად თავისუფალ მდგომარეობაში და აღიარებული იქნეს აღნიშნულ ფართზე ნესტან გელოვანიძის საკუთრების უფლება.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მისი ასლის მხარისათვის გადაცემიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით.

მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი

ასლი
086

ქ.თბილისი, გამსახურდიას შეს.N4, I სართული. ბ.2. ტელ: 577 40 19 83; ელ.ფოსტა: zaalgvelesiani@yahoo.com; ვებ-გვერდი: ***

A13018305-011/001
16.11.2013

შპს ცენტრ პოინტ სიტი (202210044)

თბილისი, დ.აღმაშენებლის 150ა

როგორც თქვენთვისაა ცნობილი კერძო აღმასრულებელ ზაალ გველესიანის წარმოებაშია სააღსრულებო საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2011 წლის 06 ივნისს გაცემული სააღსრულებლო ფურცლის: № 2ბ/728-11, და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012 წლის 28 დეკემბერს გაცემული 2/4009-10 სააღსრულებო ფურცლების აღსრულებაზე, რომლის შესაბამისად მოვალეს: შპს„ცენტრ პოინტ სიტი" ს/კ202210044 კრედიტორის სათინო შანყულაშვილის სასარგებლოდ სულ გადასახდელად დაეკისრა 47750 (ორმოცდა შვიდი ათას შვიდას ორმოცდა ათი) აშშ დოლარისა და 2792 (ორიათას შვიდას ოთხმოცდა თორმეტი) ლარისა და 37 თეთრის გადახდევინება ვინაიდან თქვენს მიერ ნებაყოფლობით არ იქნა შესრულებული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ 7 დღის ვადაში, თქვენვე დაგეკისრათ აღსრულების საზღაურის სრული ოდენობა აღსასრულებელი მოთხოვნის 7%.

წინადადება მოვალისადმი სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით 7 დღის ვადაში შესრულების შესახებ ჩაგბარდათ 2013 წლის 01 აპრილს მიმღები (ეკა გოგებაშვილი პ/ნ 01012012572), წინადადება ნებაყოფლობით 5 დღის ვადაში ქონებრივი ნუსხის წარმოდგენის შესახებ ჩაგბარდათ 2013 წლის 12 ივნისს მიმღები (გურანდა წიქარიძე პ/ნ 01010004425).

მრავალი სატელეფონო ზარების მიუხედავად ქონებრივი ნუსხა დღევანდელი მდგომარეობით არ არის წარმოდგენილი კერძო აღმასრულებელთან.

შეგახსენებთ, რომ ქონებრივი ნუსხის წარმოუდგენლობისათვის კერძო აღმასრულებლისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377 პრიმა მუხლის შესაბამისად.

გთხოვთ ამ წერილის მიღებიდან დაუყონებლივ წარმოადგინოთ კერძო აღმასრულებელ ზაალ გველესიანთან შპს-ს ქონებრივი ნუსხა საქართველოს კანონის სააღსრულებო წარმოებათა შესახებ 42 მუხლის შესაბამისად უარყოფით შემთხვევაში მასალები რეაგირებისათვის გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს.

დანართი:5 ფურცლად.

პატივისცემით,

კერძო აღმასრულებელი



ზაალი გველესიანი

ასლი დედანთან სწორია
კერძო აღმასრულებელი
ზაალ გველესიანი

A13018305

კოდი:26927812779883

A13018305-006/001
28.03.2013

მოვალეს: შპს „ცენტრ პოინტ სიტი“ ს/კ 202210044

მდებარე:თბილისი ხოშარაულის ქუჩა 29 და თბილისი, დ.აღმაშენებლის 150ა

წინადადება სააღსრულებლო ფურცლით განსაზღვრული მოთხოვნის 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით შესრულების შესახებ.

კერძო აღმასრულებელ ზაალ გველესიანის წარმოებაშია სააღსრულებო საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2011 წლის 06 ივნისს გაცემული სააღსრულებლო ფურცლის: № 2ბ/728-11, და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012 წლის 28 დეკემბერს გაცემული 2/4009-10 სააღსრულებო ფურცლების აღსრულებაზე, რომლის შესაბამისად მოვალეს: შპს „ცენტრ პოინტ სიტი“ ს/კ 202210044 კრედიტორის სათინო შანყულაშვილის სასარგებლოდ სულ გადასახდელად დაეკისრა 47750 (ორმოცდაშვიდიათასშვიდასორმოცდაათი) აშშ დოლარისა და 2792 (ორიათასშვიდასოთხმოცდათორმეტი) ლარის და 37 თეთრის გადახდევინება.

“სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად გეძლევათ წინადადება ნებაყოფლობით, შვიდი დღის ვადაში შეასრულოთ ზემოაღნიშნული მოთხოვნა და თქვენზედ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა შეიტანოთ კერძო აღმასრულებლის სადეპოზიტო ანგარიშზე: პროკრედიტ ბანკის ცენტრალური განყოფილება კოდი # MIBGGE22 სადეპოზიტო ანგარიში # GE51PC0183600400002679 წინააღმდეგ შემთხვევაში, გაფრთხილებთ, რომ მითითებულ ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობას მოჰყვება იძულებითი აღსრულება და თქვენი უძრავ-მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების ფასიანი ქაღალდების და სხვა მატერიალური და არა მატერიალური ფასეულობების მიმართ განხორციელდება “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები – დადგინდება დაყადაღდება, აღიწერება და შეფასდება აღსრულების სარეალიზაციო საგანი; შეფასებიდან ერთი თვის ვადაში დაინიშნება და ელექტრონულად 7-10 დღის განმავლობაში ჩატარდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე: www.eauction.ge პირველი იძულებითი-საჯარო ელექტრონული აუქციონი, რომელზეც დაყადაღებული სარეალიზაციო ქონების საწყისი სარეალიზაციო ფასი შეადგენს აღსრულების პროცესში დადგენილი ფასის 50% იმ შემთხვევაში თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ნივთის რეალიზაცია ავტომატურად პირველი აუქციონის დამთავრების თანავე იწიშნება და ისევ 7-10

ასლი დედანთან სწორია
კერძო აღმასრულებელი
ზაალ გველესიანი

დღეს მიმდინარეობს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, რომელზეც სარეალიზაციო ქონების საწყისი სარეალიზაციო ფასი შეადგენს 0 (ნულ) ლარს, (აღსრულების პროცესში დადგენილი სარეალიზაციო ქონების ფასი თუ არ აღემატება 5000 (ხუთიათას) ლარს ამ შემთხვევაში ტარდება მხოლოდ 1 (ერთი) აუქციონი, რომელზეც დაყადაღებული ქონების სარეალიზაციო საწყისი ფასი შეადგენს 0 (ნულ) ლარს) თუ დაყადაღებული და სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონება ჩატარებული აუქციონების შედეგად ვერ იქნა რეალიზებული მაშინ ეს ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისგან და ამ ქონებაზე იმავე მოთხოვნასთან დაკავშირებით იმავე კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებლო წარმოება აღარ განხორციელდება.

საქართველოს კანონის 14^{17}-ე მუხლის შესაბამისად იძულებითი აღსრულების შემთხვევაში თქვენ დაგეკისრებათ აღსრულების საზღაურის სრული ოდენობა აღსასრულებელი მოთხოვნის 7% ხოლო ნებაყოფლობით 7 დღიან კანონით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების შესრულების შემთხვევაში, გეკისრებათ მხოლოდ თანხის ნაწილი აღსასრულებელი მოთხოვნის- 2% .-არანაკლებ 50 ლარისა.

ამ წინადადების მიღებისთანავე გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ გვაცნობეთ თქვენი პოზიციის შესახებ. იძულებითი აღსრულების ცალკეულ ღონისძიებების გატარებაზე საქართველოს კანონის „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" შესაბამისად წინასწარ, პერსონალურად, დამატებით აღარ გეცნობებათ. მათი მიმდინარეობის დროის, ადგილისა და მდგომარეობის შესახებ თქვენ შეგიძლიათ სააღსრულებო მოქმედებათა შინაარსიდან გამომდინარე მიიღოთ დეატალური ინფორმაცია – აუქციონის ჩატარების წესების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის, მომსახურების სააგენტოს ვებგვერდიდან: www.eauction.ge აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდიდან: www.nbe.gov.ge, აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოს კანონს „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" „კერძო აღმასრულებლის" უფლება მოსილებას და სხვა სააღსრულებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებს. ამ და აღსრულებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხზე უფლება გაქვთ სრული და ამომწურავი ინფორმაცია მოითხოვოთ საქმის მწარმობელი კერძო აღმასრულებლისგან.

თქვენს მიმართ არსებული სააღსრულებლო წარმოება მიმდინარეობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ეროვნული აღსრულების ბიუროს საქმის წარმოების ელექტრონულ რეესტრის მეშვეობით: www.nbe.gov.ge , სადაც თქვენზედ მინიჭებული 14 ციფრიანი ინდივიდუალური უნიკალური კოდის მეშვეობით და სააღსრულებლო საქმის ნომრის მითითებით სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტის მეშვეობით შეგიძლიათ გაეცნოთ საქმის მასალებს გარდა კონფიდენციალური, საიდუმლო და სამსახურებრივი ინფორმაციისა.

14 ციფრიანი ინდივიდუალური უნიკალური კოდი მითითებულია ამ წინადადების პირველი გვერდის მარჯვენა ზედა კუთხეში, სააღსრულებლო საქმის ნომერი კი მარცხენა ზედა კუთხეში არსებული შტრიხკოდების ქვეშ.

აქვე გაეცანით "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლით მხარეებისათვის (მოვალე და კრედიტორი) მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ დაესწრონ აღსრულების მიმდინარეობას, გაეცნონ სააღსრულებო მასალებს მიიღონ მათთვის აუცილებელი ცნობები გარდა კომერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა სააღსრულებლო კონფიდენციალური ინფორმაციისა.

აღსრულების პროცესში მორიგდნენ, იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე.

კერძო აღმასრულებელთან წარადგინონ რეალიზაციას დაქვემდებარებული ქონების შეძენით დაინტერესებული პირები, გაასაჩივრონ აღმასრულებლის მოქმედება სასამართლოში ასეთი მოქმედების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში.

კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცესში მორიგების შემთხვევაში კერძო აღმასრულებელს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი სამი დღის ვადაში გადაუგზავნის სასამართლოს მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად.

საქართველოს კანონის „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" მე-18^4 მუხლის შესაბამისად კრედიტორს და მოვალეს უფლება აქვთ აღსრულების გადადებისა და განწილვადების შესახებ ერთობლივად მიმართონ საქმის მწარმოებელ კერძო აღმასრულებელს და კრედიტორის თანხმობით 12 თვემდე ვადით მოახდინონ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვადება.

საქართველოს კანონის „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" 70-ე მუხლის შესაბამისად იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებლო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით (სააღსრულებლო ფურცლის დაბრუნება) მოვალე ან სხვა პირი უფლებამოსილია გადაიხადოს საფასურის აღსრულების ხარჯის, კრედიტორის მოთხოვნის დასაფარავად საჭირო თანხა იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 17-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული კერძო აღმასრულებლის მოთხოვნები შესასრულებლად სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

გაფრთხილებთ, რომ თქვენი მხრიდან აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა და მათი უგულველყოფა, ყველა სახის თავის არიდება ან აღსრულების პროცესისათვის რაიმე სახის ხელშეშლის მცდელობა ვერ შეაფერხებს იძულებით აღსრულებას და მსგავსი ქმედებისათვის შესაძლოა დაგეკისროთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

აქვე გაცნობებთ და გაგიწმარტავთ, რომ თქვენს მიმართ დაწყებული სააღსრულებლო საქმის წარმოებიდან გამომდინარე საქართველოს კანონის „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" კანონის მე-19^1-ე მუხლის შესაბამისად თქვენ აღსრულების დაწყების დღიდან რეგისტრირებული ხართ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული აღსრულების ბიუროს „მოვალეთა რეესტრში", რაც იწვევს თქვენს მიმართ რიგი უფლებების შეზღუდვას საბანკო, საფინანსო და სარეგისტრაციო ორგანიზაციებში.

„მოვალეთა რეესტრიდან" თქვენი ამორიცხვა მოხდება მხოლოდ თქვენზედ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის დაფარვის შემთხვევაში.

კერძო აღმასრულებელი

ზაალი გველესიანი

ასლი დედანთან სწორია
კერძო აღმასრულებელი
ზაალ გველესიანი

ფ.11

რეესტრი № 31
გზავნილებათა გაგზავნაზე

GEORGIE 0 3 APR 2013 COURIER SERVICE

გამგზავნი/დაწესებ *შპს"საქართველოს ფოსტა"*

დანიშნულ/დაწესებუ. ზაალ გველესიანი

№	შ/ნ	*დაბრუნებული წერილები და შეტყობინებები*	*შენიშვნა*
1	344	ჩაბარდა	
2			
3			
4			

ფ.119 (მეორე გვერდი)

N 344

2013

01012012572

26			
27			
28			
29			
30			
31			
32			
33			
34			
35			
36			
37			
38			
39			
40			
41			
42			
43			
44			
45			
ჯამი	1		

ასლი დედანთან სწორია
კერძო აღმასრულებელი
ზაალ გველესიანი

ასლი დედანთან სწორია
კერძო აღმასრულებელი
ზაალ გველესიანი

A13018305-010/001
11.06.2013

მოვალეს: შპს „ცენტრ პოინტ სიტი" ს/კ 202210044

მდებარე: თბილისი, დ.აღმაშენებლის 150ა

როგორც თქვენთვისაა ცნობილი კერძო აღმასრულებელ ზაალ გველესიანის წარმოებაშია სააღსრულებო საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2011 წლის 06 ივნისს გაცემული სააღსრულებლო ფურცლის: № 2ბ/728-11, და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012 წლის 28 დეკემბერს გაცემული 2/4009-10 სააღსრულებო ფურცლების აღსრულებაზე რომლის შესაბამისად მოვალეს:შპს„ცენტრ პოინტ სიტი" ს/კ202210044 კრედიტორის სათინო შანყულაშვილის სასარგებლოდ სულ გადასახდელად დაეკისრა 47750 (ორმოცდაშვიდიათასშვიდასორმოცდაათი) აშშდოლარისა და 2792 (ორიათასშვიდასოთხმოცდათორმეტი) ლარის და 37 თეთრის გადახდევინება.

წინადადება მოვალისადმი ნებაყოფლობით 7 დღის ვადაში სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების შესახებ ჩაგბარდათ 2013 წლის 01 აპრილს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გეძლევათ წინადადება, კერძო აღმასრულებელ ზაალ გველესიანთან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის თანახმად- 5 (ხუთი) დღის ვადაში **ნებაყოფლობით** წარმოადგინოთ თქვენს საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ნუსხა, დღეის მდგომარეობით არსებული ყველა საბანკო ანგარიში და ფასიანი ქაღალდების რაოდენობა მათი რეგისტრაციის ადგილი, აგრეთვე უნდა მიუთითოთ თქვენი მოთხოვნის საფუძველი მესამე პირის მიმართ და მტკიცებულებები. ქონების ნუსხაში უნდა აღინიშნოს ის ქონებაც, რომელიც თქვენ სხვებისგან გეკუთვნით. ასევე გთხოვთ წარმოადგინოთ წერილობითი გარანტია იმის შესახებ, რომ ყველა ის მონაცემი, რომელსაც თქვენგან ვითხოვთ და თქვენ წარმოგვიდგენთ მაქსიმალურად სწორეა და სრულად არის წარმოდგენილი.

ქონების ნუსხის წარმოუდგენლობის, წერილობითი გარანტიის გაუცემლობაზე ან და შეგნებულად არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში დაგეკისრებათ პასუხისმგებლობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377[1] მუხლის შესაბამისად.

კერძო აღმასრულებელი

ზაალი გველესიანი



ასლი დედანთან სწორია
ქერძო აღმასრულებელი
ზაალ გველესიანი